განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თამარ რემიშვილი-პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი

წევრები:

მარინა გედევანიშვილი-უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი

დავით კუპატაძე -პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ თბილისი, 2018 }

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **ა(ა)იპ არამომგებიანი (არაკომერციული) იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **204429341**

სახე: **უნივერსიტეტი**

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული კოლეჯი
- [ ] საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ თბილისი, 2018 }

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების ვიზიტი

2018 წლის 16-18 ოქტომბერს ა(ა)იპ-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში(შემდგომში GIPA) სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 20 სექტემბრის N853 ბრძანების შესაბამისად განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი.

ვიზიტის მიზანი იყო დაწესებულების პირობების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა.

GIPA ახორციელებს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ ერთ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას (მოდულური) „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“(სპეციალიზაციის კოდი 041364). პროგრამის განხორციელებას კოორდინაციას უწევს GIPA-ს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და პროფესიული სწავლების დეპარტამენტი, ორ მისამართზე ქ. თბილისი იეთიმ გურჯის ქ.N9 (ყოფილი იეთიმ გურჯის ქ.7ბ) და მარი ბროსეს ქ.N2.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 9 სექტემბრის N17 დადგენილებით ა(ა)იპ-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისთვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრულ რაოდენობაა 40, ვიზიტის დროს დაწესებულებას ჰყავდა 39 პროფესიული სტუდენტი.

პროფესიული სტუდენტები უნივერსიტეტის ყველა მატერიალურ-ტექნიკური და საბიბლიოთეკო რესურსით შეუზღუდავად სარგებლობენ, მათთვის გამოყოფილ აუდიტორიებში (A, B და C გარემოში) აკადემიური პროგრამების სტუდენტები არ მეცადინეობენ.

რაც შეეხება ადამიანურ რესურსს, პროგრამაში ჩართულია აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის წესით არჩეული 2 პროფესორი, რომელთა კვირეული დატვირთვა პროფესიულ და აკადემიურ პროგრამებზე ერთად, ხელშეკრულებით დადგენილ და შრომის კოდექსით გათვალისწინებულ ზღვრულ რაოდენობას - (40 საათს) არ აღემატება.

ვიზიტი მიმდინარეობდა კომფორტულ ვითარებაში მისამართზე ქ.თბილისი იეთიმ გურჯის ქ.N9, სამი დღის განმნავლობაში ჩამოყალიბდა კონსტრუქციული თანამშრომლობა ექსპერტებსა და დაწესებულების წარმომადგელებს შორის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ თბილისი, 2018 }

ექსპერტების მიერ გადამოწმდა დაწესებულების პირობები ავტორიზაციის სამივე სტანდარტის მიხედვით, მოხდა დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და პარტნიორებთან გასაუბრება, ასევე დაწესებულების მატერიალური რესურსის შემოწმება, პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება წინასწარ შეთანხმებული ვიზიტის დღის წესრიგის მიხედვით (დანართი 1).

როგორც მატერიალური და ადამიანური რესურსის გადამოწმებით დგინდება, უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, არ იქმნება აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების არაჯეროვნად განხორციელების რისკი და არ იწვევს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ თბილისი, 2018 }

მდგომარეობა	სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა	ფართი	მისამართების რაოდენობა და მდებარეობა
ახალი	1-20	1-5	1-20	1-500 კვ.მ.	ერთ მისამართზე
არსებული	21-50	6-10	21-50	501-1500 კვ.მ.	სხვადასხვა მისამართზე ერთ მუნიციპალიტეტში
	51-150	11-15	51-100	1501-3000 კვ.მ.	სხვადასხვა მუნიციპალიტეტში
	151-500	16-20	101-150	3000-5000 კვ.მ.	
	501 და მეტი	21 და მეტი	151 და მეტია მეტი	5001 და მეტი კვ.მ.	

სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარში დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა მითითებული იყო 1-20, ვიზიტის დროს დადგინდა, რომ დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება პროგრამის განმახორციელებელ 21 პირთან და 4 ადმინისტრაციულ პერსონალთან, ასევე დაწესებულების მიერ მონიშნული იყო შენობა-ნაგებობების ფართი 1-500კვ.კმ. საჯარო რეესტრიდან ამონაწერებით და ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ დაწესებულების შენობა-ნაგებობების ფართია 2432.87 კვ.მ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	■	□
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	□
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	□
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	□
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ თბილისი, 2018 }

1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	☐
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	☐
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	■	☐
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	☐
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	■	☐
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	■	☐
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	☐
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	☐
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	☐
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	■	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ თბილისი, 2018 }

2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	☐
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	■	☐
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	☐
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	☐
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	☐
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	☐
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	☐

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი/ები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ დაფიქსირებულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ თბილისი, 2018 }

VI. რეკომენდაციების შეჯამება

ქვესტანდარტი 2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას

რეკომენდირებულია მოდულებში ასახონ დაწესებულების მფლობელობაში და ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების დასახელებები, რომლებიც მომზადებულია ა(ა)იპ „ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტსა“ და „რრს თრეინინგ ენდ ქონსალთანსი ჯორჯიას“ შორის 2016 წლის 21 ოქტომბერს გაფორმებული N 2110-16 ხელშეკრულების ფარგლებში .

ქვესტანდარტი 2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

რეკომენდირებულია პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები დაინომროს და აღირიცხოს დაწესებულების შინაგანაწესში გაწერილი რეესტრის წარმოების წესის შესაბამისად.

ქვესტანდარტი 2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

რეკომენდირებულია დამტკიცდეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული სამოქმედო გეგმა უფლებამოსილი პირის მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ თბილისი, 2018 }

VII. დაწესებულების მისია

GIPA ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს წარმატებული თანამშრომლობის გამორჩეული მაგალითია. ჩვენი პირდაპირი დანიშნულებაა, დამოუკიდებელი საქართველოსთვის თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი და დემოკრატიული ღირებულებების ერთგული ლიდერების აღზრდა. ამ მისიის შესასრულებლად, GIPA ქმნის და სტუდენტებს გადასცემს ახალ ცოდნას დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულებებისა და თავისუფლების იდეალების დასამკვიდრებლად. მოწოდებულნი ვართ, მოწინავე როლი სწავლებაში გავაძლიერეოთ საერთაშორისო მნიშნელობის მქონე კვლევითი საქმიანობით და აკადემიური და პროფესიული ცოდნის პრაქტიკულ უნარებში დანეგრვით, რაც საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანოთ ჩვენს ქვეყანასა და რეგიონში დემოკრატიისა და თავისუფლების იდეების გაძლიერებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ თბილისი, 2018 }

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „**შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები**“ შემუშავების და განხორციელების მიზანშეწონილობას **GIPA** ადასტურებს ჩატარებული კვლევის შედეგებით, კვლევაში მონაწილეობა მიიღო 25 კომპანიამ, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორიდან.

ასევე, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით (DCFTA), რაც ითვლისწინებს იმ დირექტივების ამუშავებას, რაც უშუალოდ ეხება ევროკავშირის შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს მართვის მოთხოვნების შესაბამისობას.

ასევე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შეიმუშავებული კანონით შრომის უსაფრთხოების შესახებ. ამ კანონის ამუშავება ზრდის შრომის ბაზის მოთხოვნას შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებზე.

პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების მიერ განსაზღვრული პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირის - უნივერსიტეტის რექტორის მიერ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის შემუშავების/ადაპტირების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის და გაუქმების წესები. ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ დაცულია პროგრამის დამტკიცების და მასში ცვლილებების შეტანისთვის დადგენილი პროცედურა;

პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზანი, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, ახლავს სასწავლო გეგმა და მოდულები, პროგრამა შედგება 3 ზოგადი და 21 პროფესიული მოდულისაგან. პროგრამა და მოდულები გადამუშავებულია/ადაპტირებულია. დაწესებულების წარმომადგენელთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ გადამუშავება/ადაპტირება მოხდა მასწავლებლებისა და პროგრამების ხელმძღვანელის მიერ. თითოეული მასწავლებელი სწავლის დაწყებამდე ამუშავებს კალენდარულ გეგმასაც, ვიზიტის დროს გადამოწმდა ერთ-ერთი მათგანი.

დოკუმენტაციის წინასწარი შესწავლის დროს აღმოჩნდა, რომ ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები და სფეროს მარეგულირებელი სხვადასხვა საკანონმდებლო აქტები დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამაში სრულად არ არის ასახული, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლებმა ვიზიტის დროს განაცხადეს, რომ ეს ინფორმაცია მოდულებში იკვეთება, ასევე მოდულებშია ინტეგრირებული მართლწერისა და მართლმეტყველების კომპეტენციების შეფასება.

ექსპერტების მიერ შემოწმდა სასწავლო გეგმა, სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით. დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. ექსპერტთა შეფასებით არსებული ადამიანური და მატერიალური რესურსით, წარმოდგენილი კვირეული დატვირთვის პირობებში შესაძლებელია პროგრამის შეუფერხებლად განხორციელება.

პროგრამის ეფექტურად განხორციელების ხელშეწყობისთვის GIPA-ს ამ ეტაპზე ჰყავს თხუთმეტი პარტნიორი, რომლებთანაც 2017 წელს გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმი მიზნად ისახავს პარტნიორების მხრიდან პროფესიული პროგრამის შემუშავებაში ჩართულობას, პროგრამის აქტიური განხორციელების ხელშეწყობას და დასაქმების შესაძლებლობის გაზრდას, იგი მოქმედებს 2020 წლის სექტემბრამდე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ თბილისი, 2018 }

ვიზიტის პერიოდში მოხდა რამოდენიმე პარტნიორ დაწესებულებებში ვიზიტი შერჩევითი პრინციპით, ეს დაწესებულებებია:

- სააქციო საზოგადოება თელასი
- შპს სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი
- შპს ვისოლ პეტროლიუმი
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ექსპერტთა შეფასებით პარტნიორი დაწესებულებების დამოკიდებულება და განწყობა დამაკმაყოფილებელია, მათი მხარდაჭერა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების მიღწევაში. მათთან გასაუბრებით ექსპერტებისა და GIPA-ს წარმომადგენლებისთვის ნათელი გახდა, თუ რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღებაა ერთდროულად შესაძლებელი პრაქტიკის ობიექტებზე, რამდენი კურსდამთავრებულის დასაქმება იქნება შესაძლებელი და სხვა მნიშვნელოვანი დეტალები. ექსპერტთა შეფასებით, სწორედ ასეთი მნიშვნელოვანი საკითხების გათვალისწინებით შეიმუშავა დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის განხორციელების წესი, რომელიც დაარეგულირებს პროფესიული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის ორგანიზების, მონიტორინგისა და შეფასების პროცედურებს. დოკუმენტს თან ერთვის სტუდენტის დღიურისა და მონიტორინგისთვის საჭირო ფორმის შაბლონები, ასევე პრატიკაზე მყოფი სტუდენტის მიერ შესავსები მოკლე კითხვარი. ამ წესში გაწერილი პროცედურების თანახმად, დაწესებულება პრატიკის დაწყებამდე შეათანხმებს პარტნიორ ორგანიზაციებთან პრაქტიკის ხანგრძლივობას, პრაკტიკაში მონაწილე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობას, მათ სამუშაო დატვირთვას და სხვა მნიშვნელოვან დეტალებს.

საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, გარდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა: (ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა; ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამა; მოსამზადებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამა)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ თბილისი, 2018 }

№	პროგრამის დასახელება	კრედიტების რაოდენობა

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით და მოდულებით;
- რექტორის ბრძანებებით პროგრამის დამტკიცების N01-18/077, 3 მაისი 2018წ. და მასში ცვლილების შეტანის შესახებ N01-18/168, 25 სექტემბერი 2018წ;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგით;
- დაწესებულების შინაგანაწესით და დებულებით;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
- რექტორის ბრძანებით პროფესიულ სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ N 01-18/089-1, 31 მაისი 2018წ.;
- ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მოდულის განმახორციელებელ პირებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და პარტნიორებთან გასაუბრებით;
- დაწესებულების ვებგვერდით;

შეფასება:

- ✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ თბილისი, 2018 }

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც არის ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ. კატალოგი განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგი, რომელიც განთავსებულია პროფესიული საგანმანათებლო პროგრამის ვებ-გვერდზე.
კატალოგები ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. კატალოგებში მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის და ინფორმაცია პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- "შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" მე-5 საფეხურის პროფესიული პროგრამის კატალოგით;
- https://gipa.ge/res/docs/Catalog26.06.2018.pdf
- http://hsetvet.gipa.ge/ka/GIPA-danarti-7_katalogi.pdf

შეფასება:

- ✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“** სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო-დოკუმენტით;
- დაწესებულების წარმომადგენელთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით;

შეფასება:

- ✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ. აღნიშნულ წესში ცალკე თავად მოცემულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობისა და მიღებული განათლების აღიარების წესები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის დროს გადამოწმდა ყველა პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე, პროფესიული სტუდენტებისთვის სტატუსის მინიჭება ხდება დაწესებულების რეგულაციისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით. ასევე, გადამოწმდა სტატუსშერებული და სტატუსშეწყვეტილი სტუდენტების პირადი საქმეები და ემისის ბაზა, პროცედურა შესაბამისობაშია მარეგულირებელ წესთან და მიმდინარეობს კანონმდებლობის სრული დაცვით.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობისა და მიღებული განათლების აღიარების წესების შესახებ ინფორმაციის საჯაროობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- პროფესიული სტუდენტის პირადი საქმეებით;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდით www.gipa.ge.
- evet.emis.ge;

შეფასება:

- ✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელებისა და გაუქმების წესი, რომელიც გაწერილია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ თბილისი, 2018 }

ამ წესის თანახმად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების საფუძველი შეიძლება გახდეს პროგრამის ხელმძღვანელისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული შეფასება და მომზადებული რეკომენდაციები ან სხვა ობიექტური გარემოებები.

საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საფუძველი შეიძლება გახდეს პროგრამის განხორციელების შეფასებისას გამოვლენილი ნაკლოვანებები და არაეფექტურობა, როგორიცაა: პროგრამის შეუსაბამობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები, პროგრამის განხორციელების მხარდამჭერ გარე პარტნიორებთან თანამშრომლობის შეწყვეტა და სხვა.

იმ შემთხვევაში, თუ გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ირიცხებიან პროფესიული სტუდენტები, მათი შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა განხორციელდება უნივერსიტეტის მობილობის მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, კერძოდ, პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის გაუქმებამდე, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან მემორანდუმის გაფორმებას, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტების გადასვლის და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას მათ მიერ დადასტურებეული შედეგების აღიარებით.

შესაბამისად,დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიასთან“, რომლის თანახმადაც: ორივე მხარე იღებს ვალდებულებას, „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, ხელი შეუწყონ სტუდენტებს ერთი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მეორეში მობილობის განხორციელებაში, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული მისაღები რაოდენობის ფარგლებში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ თბილისი, 2018 }

- ა(ა)იპ „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტსა“ და შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას“ შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

შეფასება:

- ✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის მონიტორინგის, ხარისხის შეფასების, შედეგების ანალიზისა და გამოყენების წესები.

წესის მიზანია უნივერსიტეტის პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების დამსაქმებლების და სხვა, პროგრამასთან დაკავშირებული პირების ჩართულობით, სწავლების ხარისხის მუდმივი მონიტორინგის განხორციელება, სასწავლო პროგრამებში არსებული ხარვეზების გამოვლენა, მათი აღმოფხვრის გზების დასახვა და სწავლების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების, სრულყოფის და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

სწავლის ხარისხის შეფასებისა და შედეგების გამოყენების ციკლი შედგება 4 (ოთხი) ურთიერთდაკავშირებული ეტაპისგან: დაგეგმე – განახორციელე – შეამოწმე – განავითარე.

სწავლების ხარისხის შეფასების მიზნით, მოწმდება საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამაში შემავალი ცალკეული კომპონენტები, ლექტორების მუშაობის ეფექტიანობა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრება, საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურობა და მასთან დაკავშირებული სხვა გარე და შიდა ფაქტორები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლის ხარისხის შეფასება თავის მხრივ ემყარება შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

გარე ფაქტორების შეფასება და ანალიზი; შრომის ბაზრის მოთხოვნებთან საგანამანათლებლო პროგრამების შესაბამისობის შეფასება; კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზი და სტატისტიკური აღრიცხვა; სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და შეფასება; სასწავლო პროცესის შიდა შეფასება; ჯვარედინი შეფასება; სასწავლო პროცესის შეფასების შედეგების ანალიზი და გამოყენების პროცედურა.

ვიზიტის დროს შედგა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან იმის შესახებ, თუ რა არის თითოეული მიმართულების მიზანი და როგორ ახორციელებენ პრაქტიკაში.

მათი განმარტებით საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხდება ორი ძირითადი მიმართულებით:

1. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასებითა და ანალიზით;

2. სასწავლო პროცესის ან მისი კომპონენტის (საგანი, მოდული და სხვა) დასრულების შემდგომი შეფასებითა და ანალიზით.

სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასებას და ანალიზს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

1. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით პროგრამის ხელმძღვანელის, კოორდინატორის ლექციებზე და გამოცდებზე დასწრებით;

2. პროგრამის კოორდინატორების/ხელმძღვანელების მიერ სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ლექტორებთან მუდმივი უკუკავშირის წარმოებით;

3. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით პროფესორებისა და სხვა მოწვეული ლექტორების ლექციებსა და გამოცდებზე კოლეგიალური დასწრებით, რომელსაც, ასევე ესწრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი;

4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამის ხელმძღვანელებისა და კოორდინატორების მონიტორინგით.

სასწავლო პროცესის დასრულების შემდგომი შეფასებისა და ანალიზისთვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს შემდეგ მეთოდოლოგიას:

1. გამოკითხვები და ანგარიშგება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ა) გამოკითხვა გულისხმობს, სტუდენტების, ლექტორების და სხვა მხარეების გამოკითხვას საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს:

სტუდენტების მიერ ლექტორების ფარული წესით შეფასებას დადგენილი ფორმის შესაბამისად;

სტუდენტების მიერ დიპლომის/ნაშრომის/პრაქტიკის ხელმძღვანელის ფარული წესით შეფასებას დადგენილი ფორმის შესაბამისად;

ბ) ლექტორის/პროფესიული მასწავლებლის მიერ ჯგუფის შეფასებას დადგენილი ფორმის შესაბამისად.

ანგარიშგება გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესში მონაწილე მხარეების მიერ სხვადასხვა ანგარიშების ჩაბარებას, რაც მოიცავს:

ა) პროგრამის ხელმძღვანელებისა და კოორდინატორების მიერ შედგენილი სასწავლო პროცესის შესახებ სემესტრულ ანგარიშს;

ბ) აკადემიური პერსონალის მიერ შევსებული პროდუქტიულობის შეფასების წლიური ანგარიშგების ფორმას;

გ) სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან განხორციელებული ფოკუს ჯგუფის ანგარიშს;

ჯვარედინი შეფასება გულისხმობს ხარისხის უზრუნველყოფის თანამშრომლების, უნივერსიტეტის სკოლების პროგრამების ხელმძღვანელებისა და კოორდინატორების მიერ ერთმანეთის სასწავლო პროგრამების შეფასებას.

ჯვარედინი შეფასების დროს ფასდება:

ა) სასწავლო კურსის კურიკულუმი და სილაბუსები;

ბ) პროგრამის და მასში განხორციელებული ცვლილებების (არსებობის შემთხვევაში) შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

გ) გამოვლენილ ხარვეზებზე რეაგირების დადასტურება.

საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტურად განხორციელების შეფასების შედეგებს აანალიზებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც ქმნის პროგრამის ხელმძღვანელების, კოორდინატორების, სკოლის პერონალისგან შემდგარ სამუშაო ჯგუფს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ თბილისი, 2018 }

ანალიზის პროცესი მოიცავს:

სამუშაო ჯგუფის მიერ მოპოვებული დოკუმენტაციის გაანალიზებას;

სხვადასხვა პროგრამებზე გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის და პოზიტიური ფაქტორების დანერგვის გამოცდილების ურთიერთგაზიარებას;

ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლასა და ანალიზს.

უნივერსიტეტის პრაქტიკაში დაგროვილი გამოცდილებით სხვა კვლევების ჩატარებას.

მიღებულ შედეგებზე დროული რეაგირების მიზნით, სამუშაო ჯგუფი იკრიბება სემესტრის დასრულებისას და გონივრულ ვადაში ახდენს შედეგების გაანალიზებას, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ რეკომენდაციების სახით წარედგინება სკოლის აკადემიურ საბჭოს განსახილველად.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ რეკომენდაციების წარდგენის შემდეგ, სკოლის აკადემიური საბჭო შეფასების ანგარიშის განსახილველად იკრიბება, გონივრულ ვადაში, ისე რომ შესაძლებელი იქნეს ხარვეზების მაქსიმალურად სწრაფად აღმოფხვრა მომდევნო სემესტრის დაწყებამდე. სკოლის აკადემიური საბჭო აანალიზებს შემუშავებულ რეკომენდაციებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისა და საგანმანთლებლო პროგრამის შემდგომ დახვეწასთან დაკავშირებით და ატარებს შესაბამის რეაგირებას გამოვლენილი ხარვეზებისა და შემუშავებული რეკომენდაციების ხასიათიდან გამომდინარე.

ვიზიტის მიმდინარეობისას, საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების პროცესის თვალსაჩინოდ წარმოსახვის მიზნით, უნივერსიტეტმა წარმოადგინა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიების“ მე-5 საფეხურის პროფესიული პროგრამის სტუდენტების მიერ 2018 წლის პირველი სემესტრის ბოლოს შევსებული ელექტრონული კითხვარების ანალიზი და პროფესიული მასწავლებლის მიერ ჯგუფის დახასიათების ანგარიში.

ელექტრონული კითხვარები სამი ბლოკისაგან: მოდული, პროფესიული მასწავლებელი, ტექნიკური საკითხები და საკითხავი მასალა და 12 კითხვისაგან შედგება. მათში ძირითადი აქცენტი კეთდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ თბილისი, 2018 }

უშუალოდ სტუდენტების დამოკიდებულებაზე კონკრეტული მოდულის შინაარსსა და მსვლელობაზე, ისეთ საკითხებზე როგორიცაა:

1.მოდულის მნიშვნელობა და სტუდენტის ცოდნის გაუმჯობესება მოცემულ სფეროში;

2. სწავლების მეთოდების შეფასება;

3. პროფესიული მასწავლებლის პროფესიონალიზმი, გადმოცემის უნარი, ჯგუფთან მუშაობის ხარისხი და ორგანიზებულობა;

4. სასწავლო მასალი ადეკვატურობა კურსთან მიმართებით.

ყოველი კითხვა ფასდება 1-დან 5 ქულის ჩათვლით.

რაც შეეხება პროფესიული მასწავლებლის მიერ ჯგუფის შეფასების კითხვარებს, ისინი მიზნად ისახავენ სტუდენტთა ცოდნის დონის გამოვლენას მოდულის დასრულების შემდეგ და გაგებას, თუ რამდენად იყვნენ ჩართულები სტუდენტები სასწავლო პროცესში. კითხვარი მოიცავს შემდეგ კითხვებს:

1. გამორჩეული ძლიერი სტუდენტი/სტუდენტები (შესაბამისი არგუმენტაციით);
2. გამორჩეული სუსტი სტუდენტი/სტუდენტები (შესაბამისი არგუმენტაციით);
3. ლიტერატურის /სასწავლო მასალის გაცნობის და დავალებების მომზადების ხარისხი;
4. კომუნიკაციის და საკითხის ცოდნის დონე საგნის დაწყებისას;
5. კომუნიკაციის და საკითხის ცოდნის დონე საგნის დასრულებისას;
6. დამხმარე ლიტერტურის/სასწავლო მასალის მომზადების ხარისხი;
7. სასწავლო კურსის/მოდულის მიზანი დაწყებისას;
8. რამდენად იქნა მიღწეული სასწავლო კურსის/მოდულის მიზანი მისი დასრულებისას;
9. თუკი მიზანი არ არის /სრულყოფილად არ არის მიღწეული, რამ შეუშალა ხელი მის მიღწევას;

10.რეკომენდაციები, რომლებსაც მისცემდით ადმინისტრაციას პროგრამისა და სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად;

11.დამატებითი კომენტარი.

სტუდენტთა მიერ შევსებულ ელექტრონული კითხვარების და პროფესიული მასწავლებლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიერ ჯგუფის დახასიათების ანგარიშის ანალიზს აკეთებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური,

რომელიც დასკვნის სახით წარმოადგენს საჭიროების შემთხვევაში პროგრამის მოდიფიცირებისა და ხარვეზების აღმოსაფხვრელად საჭირო ღონისძიებების ნუსხას.

ვიზიტის მიმდინარეობისას დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა პროფესიული პროგრამის კოორდინატორის მიერ შესავსები კითხვარის ნიმუშიც, რომელიც მოიცავს:

1. ჯგუფის დახასიათებას შემდეგი შეკითხვების მიხედვით:

ა) სტუდენტური ინიციატივების წარმოდგენა და აქტიურობა;

ბ) სწავლების პროცესში დაწინაურებული/სამსახურის მპოვნელი სტუდენტები;

გ) ჩართულობა (საუნივერსიტეტო ღონისძიებებში მონაწილეობა; მოწვეულ სტუმრებთან შეხვედრებზე დასწრება).

2.პროფესიული პროგრამის მიზანი/მიზნები დაწყებისას;

3.თუკი მიზანი სრულყოფილად არ არის მიღწეული, რამ შეუშალა ხელი მის მიღწევას? რა პრობლემები ახლდა თან მოცემული კურსის მსვლელობას?

4.სიძნელეები, რომლებიც ახლდა პროგრამის განხორციელებას?

5.ლექტორების/პროფესიული მასწავლებლების დახასიათება შემდეგი შეკითხვების მიხედვით:

ა) კომუნიკაციის პრობლემატიკა ან წარმატებული მაგალითები;

ბ) მოწესრიგებულობა და სილაბუსების/მოდულების გაწერა/ადაპტირება;

გ) სასწავლო მასალის და ნიშნების/დადასტურებების დროული მიწოდება;

დ) რა რეკომენდაციებს/ინიციატივას წარმოადგენდით სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით?

პროფესიული პროგრამის კოორდინატორის მიერ მიღებულ გამოკითხვის შედეგებს აანალიზებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც დასკვნის სახით წარმოადგენს საჭიროების შემთხვევაში პროგრამის მოდიფიცირებისა და ხარვეზების აღმოსაფხვრელად საჭირო ღონისძიებების ნუსხას.

უნივერსიტეტი სისტემატურად ატარებს დასაქმების ბაზრის კვლევას იმის დასადგენად, თუ რამდენად მოთხოვნადია აღნიშნული პროფესია, რეალობიდან გამომდინარე. გარდა ამისა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ თბილისი, 2018 }

აწარმოებს დასაქმებულ კურსდამთავრებულთა სტატისტიკას, მათი გამოკითხვის გზით იკვლევს და აანალიზებს იმ მიზეზებს, რომლებმაც კურსდამთავრებულებს პრობლემა შეუქმნა დასაქმების პროცესში. კურსდამთავრებულთა გამოკითხვისა და ანალიზის შედეგებს უნივერსიტეტი იყენებს საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- დაწესებულების წარმომდგენლებთან გასაუბრებით;
- „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიების“ მე-5 საფეხურის პროფესიული პროგრამის სტუდენტების მიერ 2018 წლის პირველი სემესტრის ბოლოს შევსებული ელექტრონული კითხვარების ანალიზითა და პროფესიული მასწავლებლის მიერ ჯგუფის დახასიათების ანგარიშით;
- „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიების“ მე-5 საფეხურის პროფესიული პროგრამის კოორდინატორის მიერ შესავსები კითხვარის ნიმუშით.

შეფასება:

- ✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ თბილისი, 2018 }

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა(ა)იპ - „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი“ სასწავლო პროცესს ახორციელებს სამ მისამართზე:

1) ქ. თბილისი, იეთიმ გურჯის ქ. №9 (საკადასტრო კოდი 01.18.03.023.010), საერთო ფართი 1271,85 კვ.მ.

2) ქ. თბილისი, ავლევის ქ. №21 (საკადასტრო კოდი 01.18.03.023.011) - საერთო ფართით 382,02 კვ.მ;

3) ქ. თბილისი, ბროსეს ქ. №2 (საკადასტრო კოდი 01.15.04.005.006) - შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 779 კვ.მ; რომელიც საკუთრებაშია აქვს „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს“. ავლევის ქუჩაზე მდებარე და იეთიმ გურჯის ქუჩაზე მდებარე ფართი დაწესებულებას აღებული აქვს იჯარით, 7 წლის ვადით.

პროფესიული პროგრამას **„შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“** დაწესებლება ახორციელებს მხოლოდ ორ მისამართზე - ბროსეს ქ. №2 (საერთო ფართიდან მხოლოდ 69,016 კვ.მ, A და B გარემო) და იეთიმ გურჯის ქ. №9 (საერთო ფართიდან მხოლოდ 62,62 კვ.მ. A და C გარემო).

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქ. თბილისი, იეთიმ გურჯის ქ. №9	დაზუსტებული ფართით 504,00 კვ.მ; შენობა-ნაგებობა - 1271, 85 კვ.მ
2	ქ. თბილისი, ავლევის ქ. №21	დაზუსტებული ფართით 229, 00 კვ.მ; შენობა-ნაგებობა - 382,02 კვ.მ
3	ქ. თბილისი, ბროსეს ქ. 2	დაზუსტებული ფართით 428,00 კვ.მ; შენობა-ნაგებობა - 779,00 კვ.მ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამისთვის გამოყოფილი სასწავლო ფართი იძლევა საშუალებას სწავლება განხორციელდეს შეუფერხებლად 40 პროფესიული სტუდენტის არსებობის შემთხვევაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- იჯარის ხელშეკრულებებით;
- ამონაწერებით საჯარო რეესტრიდან;
- აზომვითი ნახაზებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- საქართველოს მთავრობის განკარგულებით უძრავი ქონების პრივატიზებს შესახებ N2441;

შეფასება:

- ✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

განსახორციელებლად გათვალისწინებულია სათანადო ინვენტარით აღჭურვილი შემდეგი სასწავლო ფართი:

პროფესიული პროგრამისთვის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" იეთიმ გურჯის ქ. №9-ში მდებარე კამპუსში #101 აუდიტორიაში (A და C გარემო, საერთო ფართი 62,62 კვ.მ.) განთავსებულია - 11 ორადგილიანი და 4 ერთადგილიანი მერხი, 27 სკამი, 26 პერსონალური კომპიუტერი, 1 პროექტორი, 1 პროექტორის დაფა, A1 მრავალფუნქციური პრინტერი, მასწავლებლის მაგიდა და სკამი, 6 კარადა, აუდიტორიაში განთავსებულია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარი და აღჭურვილობა, მათ შორის ცეცხლსაქრობი სასწავლო სისტემა.
ბროსეს ქ. №2-ში მდებარე კამპუსში პროგრამის განხორციელებისათვის გამოყოფილია ორი სასწავლო აუდიტორია №5 და №6 (საერთო ფართი 69,016 კვ.მ), სადაც განთავსებულია „A" და „B" ტიპის სასწავლო გარემო. #5 აუდიტორიში განთავსებულია - 11 სამადგილიანი მაგიდა, 33 სკამი, 30 პერსონალური კომპიუტერი, 1- პორტატული კომპიუტერი, 1 პროექტორი, 1 პროექტორის დაფა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლის მაგიდა და სკამი. ხოლო, №6 აუდიტორია აღჭურვილია - 9 სამადგილიანი მაგიდით, 25 სკამით, 1 პროექტორით, 1 პროექტორის დაფით, 1- პორტატული კომპიუტერით, მასწავლებლის მაგიდით და სკამით.

ექსპერტთა შეფასებით პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამისთვის გამოყოფილი სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი იძლევა საშუალებას სწავლება განხორციელდეს შეუფერხებლად 40 პროფესიული სტუდენტის არსებობის შემთხვევაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მიღება-ჩაბარების აქტებით;
- შესყიდვების დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- ვიზუალური დათვალიერებით;

შეფასება:

- ✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა(ა)იპ - „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში“ შექმნილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის აუცილებელი გარემო. კერძოდ, იეთიმ გურჯის ქ. №9-ში მდებარე კამპუსში დაწესებულება უწყვეტად მარაგდება ელექტროენერგიით. ასევე არის ბუნებრივი განათება ყველა იმ აუდიტორიაში, სადაც პროფესიულ სტუდენტებს უხდებათ მუშაობა. სველი წერტილები განლაგებულია ოთხივე სართულზე. ასევე მეორე სართულებზე არის სველი წერილი სსსმ პირებისათვის. შენობა-ნაგებობები აღჭურვილია შესაბამისი გათბობა-გაგრილების ტექნიკით და ცენტრალური გათბობის სისტემით.

ბროსეს ქ. #2-ში მდებარე კამპუსში დაწესებულება უწყვეტად მარაგდება ელექტროენერგიით. ასევე არის ბუნებრივი განათება ყველა იმ აუდიტორიაში, სადაც პროფესიულ სტუდენტებს უხდებათ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მუშაობა. არის სველი წერტილები. ასევე მეორე სართულებზე არის სველი წერტილი სსსმ პირებისათვის. შენობაში ყველა ოთახში დამონტაჟებულია ინდივიდუალური გაზის გამათბობლები (ე.წ. „კარმა“).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მოძრავი ქონების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- კომუნალური მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმეტაციით;
- ვიზუალური დათვალიერებით;

შეფასება:

- ✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ პროგრამებში მითითებულ ლიტერატურას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სავალდებულო და ზოგად მოდულებში მითითებული ლიტერატურა. ყველა საწავლო რესურსი აღმოჩნდა ბიბლიოთეკაში ნაწილი ნაბეჭდი სახით, ხოლო ნაწილი - ელექტრონულ მატარებელზე. აღსანიშნავია, რომ მოდულებში მითითებული ლიტერატურის დასახელება ზუსტად არ შეესაბამება დაწესებულების მფლობელობაში და ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების დასახელებას. მაგალითად, მოდულებში მითითებულია ლიტერატურა შემდეგი დასახელებით: **გარემოს დაცვითი მენეჯმენტის საფუძვლები, სამუშაო ადგილების რისკებს და საფრთხეების კონტროლი,** ხოლო ვიზიტის დროს ბიბლიოთეკაში ექსპერტების მიერ ნანახი იქნა ა(ა)იპ „ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტსა“ და „რრს თრეინინგ ენდ ქონსალთანსი ჯორჯიას“ შორის 2016 წლის 21 ოქტომბერს გაფორმებული N

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2110-16 ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სახელმძღვანელოები დასახელებით: **მართვის დაცვის საფუძვლები, შრომის უსაფრთხოების საფუძვლები, შრომის უსაფრთხოება (პრაქტიკული სახელმძღვანელო)**. დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით ირკვევა,რომ ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები ქვეთავებად მოიცავს, იმ თემებს რომლებიც მითითებულია მოდულებში. ექსპერტების მიერ გადამოწმდა ქვეთავების დასახელება, დასახელება შეესაბამება მოდულებში მითითებულ ლიტერატურის დასახელებას.

ქ. თბილისი, იეთიმ გურჯის ქ. №9 - ბიბლიოთეკაში (სამკითხველო სივრცით) განთავსებულია 16 ორადგილიანი, 8 ერთადგილიანი და 1 ოთხადგილიანი მაგიდა, 50 სკამი. ინტერნეტში ჩართული 22 ნოუთბუქი, 10 ცალი ღია თაროებიანი კარადა წიგნებისათვის, 1 მრავალფუნქციური პრინტერი, 1 პრინტერი ასლის გადაღების და სკანერის შესაძლებლობით, 2 ცალი სტაციონალური კომპიუტერი, საერთო ფართი - 153,13 კვ.მ.

ბიბლიოთეკაში არსებობს როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული კატალოგი. განსაზღვრულია ბიბლიოთეკის სამუშაო სააათები. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკარს აქვს ბიბლიოთეკარად მუშაობის გამოცდილება, რაც დაწესებულებამ დაადასტურა შესაბამისი დოკუმენტით.

დაწესებულებას შეძენილი აქვს ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა KOHA, რომესაც იყენებს პროფესიული პროგრამის მიზნებისთვის. KOHA ელ.კატალოგი მიბმულია ვებ.დომეინზე.

ექსტპერტთა შეფასებით პროფესიულ სტუდენტებსშეს შეუძლიათ შეუფერხებლად ისარგებლონ უნივერსიტეტის მიერ მათთვის ატვირთული ყველა სასწავლო რესურსით. სასწავლო რესურსებთან წვდომა მათ აქვთ როგორც უნივერსიტეტში, ისე სახლიდან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით;
- წიგნების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- CD დისკზე ჩატვირთული ელექტრონული სახელმძღვანელოებით;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით;
- საბიბლიოთეკო სისტემის KOHA-ს შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ თბილისი, 2018 }

შეფასება:

- ✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>

რეკომენდირებულია მოდულებში ასახონ დაწესებულების მფლობელობაში და ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების დასახელებები, რომლებიც მომზადებულია ა(ა)იპ „ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტსა“ და „რრს თრეინინგ ენდ ქონსალთანსი ჯორჯიას“ შორის 2016 წლის 21 ოქტომბერს გაფორმებული N 2110-16 ხელშეკრულების ფარგლებში.

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა(ა)იპ - „საქარველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში“ პროფესიული პროგრამის განხორციელებისათვის აღრიცხულია სათანადო პარამეტრების მქონე პერსონალური კომპიუტერი 55 ცალი, აქედან ადმინისტრაციისათვის 4 ცალი, პროექტორი 3 ცალი, პროექტორის ეკრანი 3 ცალი, A3 მრავალფუნქციური პრინტერი 2 ცალი; აუდიტორიებში და ადმინისტრაციის ოთახებში არსებული კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტ ქსელში.
ექსპერტების შეფასებით დაწესებულებაში არსებული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ეფექტურად გამოიყენება როგორც საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ➢ მიღება-ჩაბარების აქტებით;
- ➢ შესყიდვების შესახებ დოკუმენტაციით;
- ➢ ვიზუალური დათვალიერებით;
- ➢ დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით;

შეფასება:

- ✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტის საქმისწარმოების წესებით განისაზღვრება უნივერსიტეტის კორესპოდენციის, ბრძანებებისა და სხვადასხვა ხელშეკრულებების, აკადემიური საბჭოს და სხვა სტრუქტურული ერთეულების ოქმების მომზადებისა და სისტემატიზაციის პროცედურები, ასევე საარქივო საქმისწარმოების, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, უნივერსიტეტის სკოლებისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების, მათ შორის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე საჭირო დოკუმენტბრუნვის წარმართვის წესები.

უნივერსიტეტის საქმისწარმოება ხორციელდება უნივერსიტეტის საქმისწარმოების სისტემის მეშვეობით (ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა e.doc), რომელიც გულისხმობს საინფორმაციო ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებასა და საქმისწარმოების პროცესის ეფექტიანი წარმართვისთვის საჭირო პირობების უნივერსიტეტის ფარგლებში შექმნას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის უნივერსიტეტი იყენებს უნივერსიტეტის ელექტრონული მართვის მონაცემთა ბაზას (LMB), რომელშიც აისახება პერსონალისა და სტუდენტის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის სტუდენტის სასწავლო ბარათი, მეცადინეობების განრიგი, სასწავლო მასალები, სტუდენტის უნივერსიტეტისადმი არსებული ფინანსური ვალდებულებები და სხვა მონაცემები.

უნივერსიტეტი დოკუმეტებს იღებს მატერიალური და ელექტრონული სახით. უნივერსიტეტში შემოსული კორესპონდენციის მიღება და აღრიცხვა ხდება უნივერსიტეტის საქმისწარმოებს მენეჯერის მიერ, რომელიც ახორციელებს დოკუმენტაციის რეგისტრაციას.

ვიზიტის დროს გადამოწმდა თუ როგორ ხდება კორესპონდენციის სისტემატიზაციის პროცედურები, ბრძანებებისა და ხელშეკრულებების აღრიცხვა. ხელშეკრულებები მომსახურების გაწევის შესახებ აღრიცხული და დანომრილია შესაბამისი წესით, თუმცა ადმინისტრაციულ პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები არ არის აღრიცხული დაწესებულების რეგულაციების შესაბამისად (**დანართი 2,3).**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ თბილისი, 2018 }

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შინაგანაწესით/საქმისწარმოების წესებით;
- ფაქტობრივი მდგომარეობით;
- დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით;

შეფასება:

- ✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>

რეკომენდირებულია პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები დაინომროს და აღირიცხოს დაწესებულების შინაგანაწესში გაწერილი რეესტრის წარმოების წესის შესაბამისად.

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2018 წელს უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობებს ჩაუტარდა ექსპერტიზა „სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ, შენობა-ნაგებობების უსაფრთხოება და მდგომარეობა განსაზღვრულია როგორც დამაკმაყოფილებელი.
ა) დაწესებულების ორივე მისამართზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი - დამუხტული ცეცხლმაქრები. ყველა სართულზე გამოკრულია ცეცხლმაქრის გამოყენების ინსტრუქცია. სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის მიერ შემოწმებულია ყველა მისამართი და არსებობს შემოწმების აქტები.
ბ) შენობაში ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია შესაბამისი სამსახურის მიერ დამტკიცებული ევაკუაციის გეგმა. შენობებს აქვს საევაკუაციო გასასვლელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გ) პროფესიულ სტუდენტებს და დაწესებულების პერსონალს სამედიცინო დახმარების გასაწევად ორივე მისამართზე ემსახურება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომელებიც რექტორის ბრძანებით (26.02.2018) დანიშნულია სამედიცინო ნორმების პასუხისმგებელ პირებად. დაწესებულებაში განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით და პირველადი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტებით. ვიზიტის დროს გადამოწმდა მედიკამენტების მოქმედების ვადა.
დაწესებულების 24 თანამშრომელს ჩატარებული აქვს ტრენინგი პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენასთან დაკავშირებით.
დ) ორივე სასწავლო კორპუსის დერეფნები, აუდიტორიები და გარე პერიმეტრი უზრუნველყოფილია სათვალთვალო კამერებით, რომლებიც აღჭურვილია ჩანაწერების შენახვის ფუნქციით. წესრიგის დაცვას ახორციელებს დაცვის თანამშრომლები, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების შინაგანაწესით;
- ხანძარსაწინააღმდეგო და საევაკუაციო გეგმით;
- დაცვის თანამშრომელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით;
- რექტორის 26.02.2018 წლის ბრძანება "ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში სახანძრო უსაფრთხოებისა და სამედიცინო ნორმებზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ";
- დაცვის თანამშრომელან და სამედიცინო ნორმებზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებით;
- სამედიცინო ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაციით;
- სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის დასკვნებით;
- სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტით;
- ვიზუალური დათვალიერებით;

შეფასება:

- ✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში უზრუნველყოფილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიულ სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემო: კერძოდ, ქ. თბილისში, იეთიმ გურჯის 9-ში და ავლევის ქ. №21-ში მდებარე საუნივერსიტეტო კომპლექსში სსსმ პირებისათვის ადაპტირების მიზნით მოწყობილია - ავტოსადგომი და პანდუსი; ავტოსადგომიდან პანდუსის საშუალებით შესაძლებელია ბიბლიოთეკაში დაუბრკოლებლად შესვლა, ხოლო ბიბლიოთეკიდან სპეციალური ადაპტირებული ლიფტის საშუალებით სსსმ პირი ხვდება მეორე სართულზე, სადაც მოწყობილია სანიტარული კვანძი.

ქ. თბილისში, ბროსეს ქ. №2-ში არსებული შენობა-ნაგებობა, ადაპტირებულია სსსმ პირებისათვის. სართულებს შორის გადაადგილება შესაძლებელია პანდუსის საშუალებით, ასევე, მეორე სართულზე არსებობს ადაპტირებული სველი წერტილი. დაწესებულების წარმომადგენლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ შენობის ადაპტირება სსსმ პირებისათვის, შენობების კონსტრუქციიდან გამომდინარე, შესაძლებელია მხოლოდ გარე ფასადის მხრიდან შესაბამისი ლიფტების მიშენებით. უნივერსიტეტს შემუშვებული აქვს აღნიშნული შენობის გარე ფასადის მხრიდან ლიფტის მონტაჟის პროექტი და დაწყებული აქვს პროცედურები მუნიციპალიტეტთან პროექტის შესათანხმებლად, რის დასტურადაც წარმოადგინეს ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის №3853094 (09.03.2018) გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც გასავლელია რიგი პროცედურები აღნიშნულზე თანხმობის მისაღებად.

უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებულია საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 8 მაისის №18/02 გადაწყვეტილებით) და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშვების წესები (საგანმანათლებლო პროგრამაზე სსსმ პირის არსებობის შემთხვევაში) ითვალისწინებს <u>სასწავლო პროცესის დაგეგმვას უნივერსიტეტის იმ შენობაში (ან მის ნაწილში), რომელიც ადაპტირებულია სსსმ პირებზე და შესაძლებლობას აძლევს მათ წვდომა ჰქონდეთ სწავლებისთვის საჭირო ყველა კომპონენტზე.</u> ამავე წესებით ასევე გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროცესის ინდივიდუალური დაგეგმვა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვისაც.

ექსპერტთა შეფასებით საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის გარემო იძლევა შესაძლებლობას სსსმ პროფესიულ სტუდენტებს წვდომა ჰქონდეთ სწავლებისთვის საჭირო ყველა კომპონენტზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის №3853094 (09.03.2018) გადაწყვეტილებით;
- პანდუსის მოწყობის შესახებ ხელშეკრულებით და მიღება-ჩაბარების აქტით;
- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (2018 წლის 8 მაისი. №18/02);
- დაწესებულების წარმომადგენელტან გასაუბრებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;

შეფასება:

- ✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტის ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია, კერძოდ: უნივერსიტეტის ისტორია, მისია, სტრუქტურა და ინფორმაცია დეპარტამენტებისა და ცენტრების, საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და პროფესიული პროგრამების შესახებ, პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და ადმინისტრაციული რესურსის შესახებ; ინფორმაცია ტრენინგ კურსების, ჩატარებული და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ; უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდის შესახებ, საერთაშორისო პარტნიორების შესახებ და ა.შ. ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- უნივერსიტეტის ვებგვერდით www.gipa.ge
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ვებგვერდით http://hsetvet.gipa.ge/

შეფასება:

- ✓ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს განვითარების 7-წლიანი სტრატეგიული გეგმა 2018-2024 წლებისთვის და 3-წლიანი სამოქმედო გეგმა 2018-2020 წლებისთვის, რომლებიც გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან. აღნიშნული პროფესიული პროგრამა განვითარების 7-წლიან სტრატეგიულ გეგმაში მოხსენიებულია, უნივერსიტეტის ძლიერ მხარეებში. ამავე გეგმაში მინიშნებულია, რომ პროფესიული განათლება ქვეყნის განსაკუთრებულ პრიორიტეტად ყალიბდება, რომ უნივერსიტეტმა 2018 წელს დაიწყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, რომელიც შრომის უსაფრთხოებასა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მიართულებით კვალიფიციურ კადრებს მოამზადებს. შემდეგი 7 წლის მანძილზე უნივერსიტეტში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საერთაშორისო თანამშრომლობის უზრუნველყოფას, კურსდამთავრებულთა დასაქმების მექანიზმების შემუშავებასა და ინსტიტუციონალიზაციას, პროფესიული განათლების მასწავლებლების გადამზადების პროგრამების დანერგვასა და სასწავლო გარემოს მუდმივ გაუმჯობესებას.

7- წლიან სტრატეგიულ გეგმაში ჩამოყალიბებულია სტრატეგიული მიმართულებები და სტრატეგიული მიზნები. სტრატეგიულ მიმართულებებს შორის აღსანიშნავია V მიმართულება - პროფესიული განათლება. როგორც ამ გეგმაში ვკითხულობთ:„GIPA პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებით აღიარებს, რომ პროფესიული განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარება ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი და საგანმანათლებლო სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც მოკლე დროში ზრდის პროფესიონალებს და აკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს“.

პროფესიული განათლების კუთხით GIPA-ს მიზნები სრულ თანხვედრაშია პროფესიული განათლების შემდეგ ძირითად მიზნებთან:

1. შექმნას ერთიანი პროფესიულ-საგანმანათლებლო სივრცე მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობის, სწავლების მრავალსაფეხურიანობისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით;
2. ხელი შეუწყოს პიროვნების პროფესიულ განვითარებას;
3. მოამზადოს შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრები;
4. ხელი შეუწყოს პირის დასაქმებას, მათ შორის, საკუთარი ბიზნესის წამოწყებასა თუ თვითდასაქმებას;
5. დაამყაროს ურთიერთობა სხვადასხვა ორგანიზაციებთან და ამით ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში შესაბამისი დარგის დამსაქმებლების მონაწილეობას, ასევე კურსდამთავრებულთა სწრაფ დასაქმებას.

სტრატეგიული მიზნებიდან აღსანიშნავია კონკურენტული პროფესიული განათლების კონრენტულ პროგრამების განვითარება. ამ მიზნის მისაღწევად შესასრულებელი ამოცანებია:

1. შრომის ბაზარსა და საერთაშორისო სტანდარტებზე მორგებული თანამედროვე მოდულური პროგრამების შექმნა, დანერგვა და პოპულარიზაცია;
2. სწავლების მაღალი ხარისხით უზრუნველყოფა;
3. საერთაშორისო კავშირების დამყარება;
4. პროგრამების განხორციელების შეფასების მოქნილი სისტემის შექმნა;
5. მოდულებზე დაფუძნებული მოკლე და საშუალოვადიანი სერტიფიცირებული პროგრამების განხორციელება;
6. ახალი პროფესიული განათლების პროგრამების შექმნასა და დანერგვაში დარგის სპეციალისტებისა და დამსაქმებლების ჩართულობა;
7. არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლების პროცესის განახლება და სრულყოფა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ თბილისი, 2018 }

აქვე გაწერილია აღნიშნული ამოცანების შესრულების შემოწმების ინდიკატორები.
რაც შეეხება უნივერსიტეტის სამწლიან სამოქმედო გეგმას, იგი ითვაისწინებს:

1. 2018 წელს პროგრამების განხორციელების შეფასების მოქნილი სისტემის განვითარებას;
2. 2019 წელს არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლების პროცესის განახლებას და სრულყოფას;
3. 2018-2019 წლებში სასწავლო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების და ინოვაციების დანერგვას;
4. 2018-2020 წლებში სწავლების მაღალი ხარისხით უზრუნველყოფაზე ზრუნვას;
5. 2019-2020 წლებში საგანმანათლებლო რესურსების მუდმივი განახლებას;
6. 2019-2020 წლებში ახალი პროფესიული განათლების პროგრამების შექმნასა და დანერგვაში დარგის სპეციალისტებისა და დამსაქმებლების ჩართულობას;
7. 2020 წლისთვის საერთაშორისო კავშირების დამყარებას;
8. 2020 წლისთვის გათვალისწინებულია შრომის ბაზარსა და საერთაშორისო სტანდარტებზე მორგებული თანამედროვე მოდულური პროგრამების შექმნა, დანერგვა და პოპულარიზაცია;

არსებული გამოცდილებით პროგრამის შექმნა დიდი გამოწვევაა უნივერსიტეტისთვის, იგი დაკავშირებულია ისეთ მნიშვნელოვან საკითხებთან როგორიცაა პროფესიის სწორად იდენტიფიცირება და ამ პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვა, მსგავსი წარმატებული მაგალითების მოძიება და შესწავლა, საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობა და დამატებითი სახსრების მოძიება, რაც დროში გავრცობილი პროცესია. შესაბამისად, პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის განმარტებით, აქტიურად მიმდინარეობს თანამშრომლობა საერთაშორისო დონორებთან, ექსპერტებსა და ადგილობრივ კონულტანტებთან, რომ მომავალი 3 წლის განმავლობაში შეძლონ ახალი მოდულური პროგრამის შექმნა და არსებული პროგრამის ადაპტირება.

პროფესიული განათლების პოპულარიზებისა და საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების მიზნით, უნივერსიტეტი ცდილობს რომ დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების მეშვეობით აქტიური მარკეტინგული კამპანია აწარმოოს პროფესიულ განათლებაში არსებული არასწორი სტერეოტიპების წინააღმდეგ, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების მოზიდვას და პროფესიული განათლების მიმართ მზარდ ინტერესს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ თბილისი, 2018 }

აღნიშული ღონისძიებების აქტიურად განხორციელების შედეგად, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროფესიულ პროგრამაზე სტუდენტთა მიღებისას მაღალი კონკურსი დაფიქსირდა, ხოლო რეგიონებში აქტიურად ითხოვენ სერთიფიცირებულ კურსებს.

დაწესებულება სამომავლოდ გეგმავს მოდულებზე დაფუძნებული მოკლე და საშუალოვადიანი სერტიფიცირებული პროგრამების განხორციელებას, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტივობაა, შრომის ბაზარზე არსებული კადრის დროულად გადამზადების და მათი კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით. რეგიონებში აქტიურად ტარდება მოკლევადიანი სერტიფიცირებული კურსები და გაიცემა საერთაშორისოდ აღიარებული სერთიფიკატები. 3 წლის განმავლობაში, ბაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე, დაგეგმილია ქვეყნის მაშტაბით 150 - მდე ტრენინგის ჩატარება სხვადასხვა მოდულებზე (გათვალისწინებულია საჭიროებაზე მორგებული ტრენინგები კონკრეტული კომპანიისათვის და ბენეფიციარებისათვის).

ესპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა 2018-2020 წლის დაზუსტებული სამოქმედო გეგმა, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი აქტივობების საბაზისო და სამიზნე ნიშნულები მომავალი 3 წლის განმავლობაში. თითოეულ აქტივობას შემსრულებლებისა და ინდიკატორების ჩამონათვალი ახლავს. აღნიშნული სამოქმედო გეგმა თან ერთვის დასკვნას **(დანართი 4)**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების 7-წლიანი გეგმით;
- უნივერსიტეტის 3-წლიანი სამოქმედო გეგმით;
- პროფესიული სწავლების დეპარტამენტის ხელმძღვანელთან გასაუბრებით.

შეფასება:

- ✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>

რეკომენდირებულია დამტკიცდეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული სამოქმედო გეგმა უფლებამოსილი პირის მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{ თბილისი, 2018 }

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამა ხორციელდება GIPA-ს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და პროფესიული სწავლების დეპარტამენტის კოორდინაციით. დეპარტამენტის 4 თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, როგორც პროფესიული სწავლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ხარისხის მენეჯერის და სტუდენტური კოორდინატორის (2) თანამდებობაზე. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. მათი თანამდებობრივი ინსტრუქციები თან ერთვის შრომით ხელშეკრულებებს.

უნივერსიტეტში თანამშრომლების შერჩევა და აყვანა ხდება გამჭვირვალობის, თანასწორობისა

და სამართლიანობის პრინციპების დაცვით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- უნივერსიტეტის დებულებით;
- შრომითი ხელშეკრულებებით ადინისტრაციული პერსონალის თანამდებობის დაკავების თაობაზე;
- ხარისხის მენეჯერის და სტუდენტური კოორდინატორების დანიშვნის ბრძანებებით N01-18/061,N01-18/046-1.
- ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებით;

შეფასება:

- ✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას ჰყავს 39 პროფესიული სტუდენტი და 21 პროგრამის განმახორციელებელი პირი.

მათ შორის ორი, ვანო ცერცვაძე და ლევან ყურაშვილი ჩართულნი არიან ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში. ადგილზე გადამოწმებით დადგინდა, რომ მათი კვირეული დატვირთვა "შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" მე-5 საფეხურის პროფესიულ და ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთად, ხელშეკრულებით დადგენილ და შრომის კოდექსით გათვალისწინებულ ზღვრულ რაოდენობას (40 საათს) არ აღემატება.

დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებს წარმოუდგინეს ლეილა ბერიშვილის პირადი საქმე, რომელთანაც მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულება გააფორმა 2018 წლის 24 სექტემბერს, სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში საავტორიზაციო დოკუმენტაციის გაგზავნის შემდეგ. ლეილა ბერიშვილის ხელშეკრულება მომსახურების გაწევის შესახებ თან ერთვის დასკვნას **(დანართი 5).**

ვიზიტის დროს გადამოწმდა შესაბამისი ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/პროგრამების რეესტრში, მოხდა გასაუბრება რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შინაგანაწესით;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- ხელშეკრულებებით მომსახურების გაწევის შესახებ;
- ხელშეკრულებებით უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- რექტორის ბრძანებით პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრით evet.emis.ge;
- დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით;

შეფასება:

- ✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით .

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს თანამშრომლის შერჩევისა და აყვანის სრულ პროცესს, რაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საჭირო, კვალიფიციური კადრით დაკომპლექტებას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შინაგანაწესით;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით;
- ხელშეკრულებებით მომსახურების გაწევის შესახებ;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეებით;

შეფასება:

- ✓ <u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

გთხოვთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეიტანოთ ინფორმაცია პროგრამების შესახებ, საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური და ადამიანური რესურსების გათალისწინებით.

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/საგნობრივი პროგრამებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის რუსულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	შრომის უსაფრთხოება დაგარემოსდაცვითი ტექნოლოგიები	მეხუთე	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსადცვითტექნოლოგიებში (041364)	120	150	ქართული	ქ.თბილისი, მარი ბროსეს ქ.2 ქ.თბილისი, იეთიმ გურჯის ქ.9	39	40

IX. თანდართული დოკუმენტაცია

<u>**თანდართული დოკუმენტები სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გადმოგზავნილია დასკვნის პროექტთან ერთად.**</u>

სულ 25 ფურცელი:
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი-3 ფურცელი;
დანართი 2. თამარ ჟღენტის შრომითი ხელშეკრულება-8 ფურცელი;
დანართი 3. პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულება-3 ფურცელი;
დანართი 4. სტრატეგიული განვითრების და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ჯგუფის სხდომის ოქმი და დაზუსტებული გეგმა -7 ფურცელი;
დანართი 5. ლ.ბერიშვილის ხელშეკრულება მომსახურების შესახებ - 4 ფურცელი;

13.11.2018
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: